პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 206 (7767)

28 ოქტომბერი, კვირა, 1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

## ბალავერი

ნებისმიერი ახალი სპორტული ბაზა ერთი ახალი აგურია ერის ჯანმრთელობის საშვილიშვილო შენობაზე. განსაკუთრებით სასიხარულოა სპორტული ბაზის შემომატება, თუ იგი ყველაზე პატარებისთვის არის გამიზნული. კიროვის ბაღში ჩოგბურთის კორტების მოწყობით მართლაც საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. ჭადრაკის სასახლე, კალათბურთისა და მინი-ფეხბურთის მოედნები, მერე, ოთხი მშვენიერი კორტი... ასე, თანდათან და დაჟინებით დაიბრუნა სპორტული ტრადიციები და იმავე გზით, უფრო ამაყადაც განაგრძო გზა. ადრე ამ კუთხეში ფიქრებში გართული კაცი თუ შემოივლიდა შემთხვევით, მერე პატარა საფეხბურთო მოედანი მოეწყო... რა თქმა უნდა, ეს თითქმის არაფერი იყო ერთ დროს კალათბურთის მექად წოდებული პარკისთვის, თბილისის ძველ სპორტულ უბანს გაცილებით მეტი ესაჭიროებოდა და ეკუთვნოდა კიდეც. რამდენიმე წლის წინათ, ამ, ერთ დროს გამოუსადეგარ, უქმად მიგდებულ ადგილზე ახალი, ჭეშმარიტად სპორტული სიცოცხლე ჩაისახა — ვერისუბანში დაიბადა ჩოგბურთის მყუდრო ცენტრი, რომელიც მაშინვე იქცა პატარების საყვარელ ადგილად. ამ ზაფხულს კიდევ უფრო გაალამაზეს და გააკოხტავეს კორტები და სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად 300-მდე ნორჩმა მიაშურა კიროვის ბაღის კუთხეში შეფუფულ მყუდრო ასპარეზს დიდ სპორტში პირველი ნაბიჯების გადასადგმელად. დღეს მკითხველს ვთავაზობთ კიროვის ბაღის საჩოგბურთო ცხოვრებიდან ამოგლეჯილ ერთ პატარა მონაკვეთს.



ჩქარა! ხაცაა ვარჯიში დაიწყება!

# ...დაიზრდებიან ვერის უბანში ბიჭები!



ლამარა მგალობლიშვილი პირველი გაკვეთილებიდანვე ცდილობს სწორ მოძრაობას შეაჩვიოს პატარები.

სრულად და ოფიციალურად მას თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ჩოგბურთის სკოლა ჰქვია (დირექტორი სპორტის დამსახურებული ოსტატი თეიმურაზ კაკულია). მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, თბილისში უბრალოდ და შინაურულად კიროვის პარკის კორტებს ეძახიან.

მოდას რომ ხანდახან ალმაცერად ვუყურებთ, ეგ ცნობილი ამბავია. მაგრამ მოდაც არის და მოდაც. თბილისში ახლა ჩოგბურთის ბუმია და ამგვარი მოდის საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს. პირიქით — ყოველდღე იმდენი ბავშვი მოდის, მწვრთნელები ვერც აუდიან მათ მიღებას. რა თქმა უნდა, ყველა დიდი ჩოგბურთელი ვერ გახდება, ამისი

(დასასრული მე-2 გვ.)

# ერთია ქვეყანაზედა

## დავიმახსოვროთ, მეგობრებო, თბილისობის ეს მშვენიერი დღე

აი უკვე მეექვსედ გვესტუმრა თბილისობის დიდებული დღესასწაული; გვესტუმრა, როგორც სასურველი და სანატრელი მეგობარი, ძველი თბილისის განახლების, ახალი სიცოცხლის მაცნე, ჭაღარა დედაქალაქის ახალმშენებლობათა მახარობელი, ახალგაზრდობის, მთელი ჩვენი ხალხის დიდად საგულისხმო ზეიმი. ეს თბილისობაა, არც ერთ სხვა დღესასწაულში რომ არ აგვერევა, რადგან თბილისი ერთია დედამიწის ზურგზე და არსად არ არის მთაწმინდა, ნარიყალა, ორთაჭალა, სოლოლაკი, ისანი, ვაკე, ვერა, დიდუბე, ავლაბარი, ნაძალადევი, საბურთალო, გუნდი და გუნდი ახალი უბნებისა. თითოეულს თავისი ისტორია და კოლორიტი ამკობს, თითოეული გული-გული ნაწილია სრულიად საქართველოს დედაქალაქისა. ეს განუმეორებლობა, ისტორიისა და თანამედროვეობის ეს ორგანული შერწყმა, ჩვენს თბილისს განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებს შინაურისა თუ უცხოს თვალში. ჯერ არ გვინახავს კაცი, თბილისში ყოფილიყოს და ალტაცებანარევი გრძნობა არ გაჰყოლოდეს აქედან წასულს. ამიტომაა, ანდამატივით რომ იზიდავს თავისაკენ თბილისქალაქი მილეთის სტუმარს, ამიტომაა, რომ მისი დღესასწაული, მისი დღეობა განსაკუთრებულ მოვლენად იქცა ჩვენი ერისა და მოძმე ხალხებისათვისაც. ზეიმი, ლხინი და მხიარულება მაშინ არის სრული, როცა მასპინძლებთან ერთად სტუმარიც მრავლადაა. სტუმრიანობით ოდითგან განთქმულ თბილისს მისმა ტრადიციულმა დღესასწაულმა მეგობარმოყვარე უმრავლა საბჭოეთშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ასეთია ჩვენი თბილისი თავის დღეობაზე — სტუმართმოყვარე, წელგამართული, მომღიმარი, ზეიმის ყველა მონაწილის გულთბილი მასპინძელი.

როგორც საქართველო, ისე თბილისიც „ერთია ქვეყანაზედა“. გავიხსენოთ, რა ნოსტალგია იპყრობდა ნაღდ თბილისელებს, მის ძირძველ მკვიდრთ მასთან განშორებისას ძველადაც და ახლაც. ძნელია ამ სიყვარულის სიტყვით გადმოცემა. საამისოდ, ალბათ, უნდა ჩაიარო რუსთაველზე, მოწიწებით თაყვანი სცე წინაპართა წმიდათა-წმიდა ძვალშესალაგს, მთაწმინდიდან მონაბერ ნიავს შუბლი უნდა შეუშვირო, მტკვრის ნაპირს ეწვიო „ფიქრთ გასართველად“, მოიძიო ფიროსმანის, კაკაბაძის, გუდიაშვილისა და სხვათა საოცნებო ქალაქის სანახები, ბოლომდე შეიგრძნო წარსულის სურნელება და თანამედროვეობის მძლავრი მაჯისცემა, ყური დაუგდო თბილისის მეხოტბეების ლექს-მუსიკას, ჩაიმუხლო მის ჩრდილიან პარკებსა და ხეივნებში, მოისმინო, რაზედ დუდუნებს საქართველოს დედა-მდინარე, და ბოლოს — გამოხვიდე სამზეოზე და გახდე თბილისობის მუდამ ახალი დღესასწაულის უშუალო მონაწილე... ეს არის მხოლოდ მცირედი ნაწილი თბილისის ხიბლისა, მაგრამ, დაე, ეს სიყვარულის გამჟღავნება თვით მკითხველმა გააგრძელოს.

მაგრამ ისიც მართალია, რომ თბილისის ჯადოს, ხიბლსა და სილამაზეს სრულფასოვნად ვერ შეიგრძნობ, თუკი არ მოიხილე ქალაქის გრანდიოზული სპორტული პანორამა, რომელშიც მოზაიკური მიმზიდველობითაა ჩაწნული რომანტიკული არქიტექტურის ნიმუში — ალპიური კლუბი და ჭადრაკის სასახლე, მონუმენტური ხუროთმოძღვრების ძეგლი — სპორტის სასახლე, მტკვრის მოდუდუნე სანაპიროზე გულის გასახარად გადაშლილი ახალი საცურაო კომპლექსი, უკიდეგანო იპოდრომი, ვაკეში წამომართული ფალავანთა კლუბი, აგურისფერი ჩოგბურთის სტადიონი, მრავალი და მრავალი სხვა ჯანმრთელობისა და სპორტის კერა, დიდი სპორტის საუფლო. მაგრამ ვერავინ იტყვის თბილისი ვნახეო, თუ სტუმარმა არ მოიხილა მისი ჭეშმარიტად ულამაზესი და უდიდესი „დინამოს“ სტადიონი, საქართველოს უპირველესი სპორტული მექა, დავანებული თბილის-ქალაქის რომანტიკულ, ძველ უბანში, ყველასათვის ნაცნობი „მუშტაიდის“ მეზობლად. მაგრამ ნახვაც არის და ნახვაც; „დინამოს“ სტადიონს მაშინ უნდა ესტუმრო, როცა მის ტრიბუნებზე ნემსის ჩასავარდნი ადგილიც აღარ არის და იგი ვულკანს მოგაგონებთ. იმ წუთებში იგრძნობთ თბილისელთა ცეცხლოვან ტემპერამენტსაც, სტუმრის ყადრის ცოდნასაც, ღირსების გრძნობასაც და მაღალ პიროვნულ კულტურასაც.

და ისევე, როგორც თბილის-ქალაქმა დღეს თავისი ყველა კარი და კარიბჭე გააღო ფართოდ სტუმართა ღირსეულად შესახვედრად, ასევე განიხვნა უკლებლივ ყველა ზემოთჩამოთვლილი სტადიონისა და მოედნის კარი: დღესასწაული იმისაა, რომ სპორტმაც ღირსეულად წარმოაჩინოს თავი ამ საერთო-სახალხო ზეიმზე.

დავიმახსოვროთ, მეგობრებო, თბილისობის ეს მშვენიერი დღე...



ჩოგანს რას უშველის [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა



აქედანვე, ბავშვობიდანვე ყალიბდება სპორტული ხასიათი.



სვეტლანა კაკულია დარიგებას აძლევს პატარებს.

# ...დაიზრდებიან ვერის უბანში ბიჭები!

(დასასრული)



დარტყმა დაიგემოვნა

ილუზია არც მწვრთნელებს აქვთ და არც მშობლებს — ბავშვები ჩოგბურთის თამაშთან ერთად სუფთა ჰაერზე არიან, სხეულს იკაჟებენ, უფრო ხალისიანები და მხიარულები ხდებიან...

—კორტებს ოთხი მწვრთნელი ვემსახურებით, — ამბობს სვეტლანა კაკულია. — ჩვენთვის ყველაზე სასიამოვნოა ის, რომ მაია გოშაძე, ლამარა მგალობლიშვილი და მე ჩვენი საერთო მწვრთნელისა და მასწავლებლის მარლენ ქობალიას გვერდით ვმუშაობთ. თითოეულ ჩვენგანს ბავშვების სამი-ოთხი ჯგუფი ჰყავს, მაგრამ მსურველი უფრო მეტია, კორტები ყველას ვერ იტევს.

მაია გოშაძე კორტებზე ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელია. ბავშვებთან მის ნებისმიერ მეცადინეობას რომ შეხედო, მაშინვე იფიქრებ — ამ პატარების გარეშე ალბათ ვერც ძლებსო.

— ყოველდღე ორმოცდაათამდე ბავშვს ვავარჯიშებ. დამღლელი? რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ერთი დღეც ვერ წარმომიდგენია აქაურობის გარეშე. ახალი კორტებია, ცოტა რომ „დაჯდება", მერე უკეთესი პირობები გვექნება სავარჯიშოდ. ერთი ჩემპიონი მაინც რომ გამაზრდევინა...

ჩვენში უამრავ რამეს ასწავლიან შვილებს. რა დასამალია და, ბავშვი ზოგ მეცადინეობაზე ზლაზვნით, უხალისოდ, ხშირად ხათრით და შიშითაც კი მიდის.

თითქმის ერთი თვეა კორტებზე დავდივარ, შორიახლოდან ვუყურებ პატარების ვარჯიშს და თამაშს და ერთი შემთხვევაც არ მახსენდება, რომელიმე მათგანი მშობელს ძალით მოეყვანოს, ბავშვს ზანტად და უსურვილოდ შეეღოს კარი. ამისი მიზეზი ის არის, რომ ჩოგბურთი თამაშია, თანაც ძალიან ლამაზი, და თამაშზე უარი ჯერ არც ერთ ბავშვს არ უთქვამს. თუმცა მთავარი მაინც ის სითბო და გულისხმიერებაა, აქ მოსული პატარების მიმართ რომ იჩენენ.

ჩოგბურთისთვის, ისე როგორც ყველა სხვა სახეობისთვის, მთავარი კარგი მწვრთნელია. მაგრამ არანაკლები ღირებულება აქვს თვით სათამაშო მოედანს, რომლის ავ-კარგი მნიშვნელოვნად განაპირობებს თამაშის დონეს და სპორტსმენის შედეგიანობასაც. ახლა ამბობენ, კიროვის პარკის კორტები ერთ-ერთი საუკეთესოა თბილისში. ამ სიკეთეში ბევრ ადამიანს მიუძღვის წვლილი, დღეს კი მას თვალისჩინივით უფრთხილდება შერმადინ მახარობლიძე.

— საქმეს რომ შეეჩვევი და შეგიყვარდება, მერე გიკვირს კიდეც, აქამდე როგორ ძლებდი უმისოდ. მეც ასე ვარ. ახლა მგონია, აქედან რომ წავიდე, ჩემსავით ველარავინ მოუვლის კორტებს, — ამბობს შერმადინი.

ახლა კიროვის პარკშიც გვიანი შემოდგომის პირია. კორტებზე მისულს კი ისეთი სიცოცხლე შემოგეფეთება, ადრე გაზაფხული გეგონება...

**ნანა მირიანაშვილი.**



შერეული წყვილი



ჩოგნის სწორად დაჭერა ჩოგბურთის ანბანია. მაია გოშაძე ხშირად ახსენებს ამ ჭეშმარიტებას თავის აღსაზრდელებს.



ვარჯიში დამთავრდა.





## გულშემატკივრის კუთხე



**ძნელად, რომ საქართველოში სპორტის მიმართ გულგრილი კაცი ნახო. ამას თავისი დიდი და მკვიდრი საფუძველი აქვს და მასზე მსჯელობა, რაღა თქმა უნდა, ცალკე საუბრის თემაა.**

**დიდი ხნის პრაქტიკით ვერ დავიკვეხნი, მაგრამ იმათ შორის, ვისაც ჩემი ხანმოკლე ჟურნალისტური ცხოვრების გზაზე შევხვედრივარ, ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲮᲐᲜ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ ყველაზე დიდი გულშემატკივარი მგონია. უფრო მეტად გასაკვირი და სასიამოვნო ის არის, რომ ბატონი დურმიშხანი ჩვენი საზოგადოების ყველაზე მოუცლელი სფეროდან — მეცნიერებიდან გახლავთ, იმ სფეროდან, სადაც უმეტესწილად მშრალი ინფორმაციით, შეჯიბრების ანგარიშის შორიდან გაგებით კმაყოფილდებიან.**

# ᲓᲘᲣᲡᲔᲚᲓᲝᲠᲤᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲓᲔᲡ

**● თქვენი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის დურმიშხან ცინცაძის პიროვნული პორტრეტის დახატვისას ერთ-ერთ ყველაზე მკვეთრ შტრიხად ფეხბურთისადმი თქვენი ფანატიკური სიყვარული გამოდგება...**

— ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს. ჩემი თაობის ბავშვობა ომსა და მის შემდგომ პერიოდს დაემთხვა. სკოლის დამთავრებამდე გურიაში ვიზრდებოდი და ის წლები ლელობურთის თამაშში გავატარე. თბილისში რომ ჩამოვედი, ლელობურთი ფეხბურთმა შეცვალა. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ოცდახუთ წელიწადს ვცხოვრობდი თბილისის ოცდამეთხუთმეტე საფეხბურთო სკოლის გვერდით და ჩემს თვალწინ დაფრთიანდა თბილისის „დინამოს" ყველაზე სახელოვანი თაობა.

ჩემს ყმაწვილკაცობაში თბილისში ფაქტიურად ერთი სპორტული კომპლექსი არსებობდა — ლენინის დარბაზი და ლენინის სტადიონი, და 1949 წლიდან მოყოლებული არც ერთი სპორტული ღონისძიება არ გამიცდენია.

რაც შეეხება ფეხბურთის სიყვარულს, ეს ქართველი კაცის ორგანული, თანდაყოლილი თვისება მგონია. და მარტო სიყვარული კი არა, თვითონ თამაშიც, რადგან ფეხბურთში, ჭიდაობისა და კალათბურთის მსგავსად, შეუდარებლად ვლინდება ქართველი კაცის სპორტული ნიჭიერება.

**● ახლახან დამთავრებული მოსწავლეთა სპარტაკიადა მშვენიერი სარკეა ჩვენთვის — მასში კარგად ჩანს ქართული სპორტის ხომავალი და ისიც, თუ რამდენად გვაქვს იმედიანი განწყობილების საფუძველი.**

— ზოგიერთ სახეობაში რომ წელში გავმართულვართ, ეს ფაქტია, მაგრამ ზოგში რომ ისევ ძველ ადგილს ვტკეპნით, ნურც ამაზე დავხუჭავთ თვალს.

ჩვენში სპორტის ჩამორჩენის ბევრ მიზეზს ასახელებენ. უმთავრესად და უპირველესად მე მაღალკვალიფიციურ მწვრთნელთა ნაკლებობა და ზოგიერთ სახეობაში სულაც არარსებობა მიმაჩნია. მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელმა მარტო თავისი სახეობა კი არ უნდა იცოდეს ორჯერ ორივით, კაცობაში, ადამიანობაში უნდა იყოს სამაგალითო და კალათბურთის თამაშთან, ჭიდაობასთან, ტანვარჯიშთან ერთად ესეც უნდა ასწავლოს თავის მოწაფეს. სწავლაში, რაღა თქმა უნდა, პირად მაგალითს ვგულისხმობ, თორემ ქცევის ნორმებში თეორიული მეცადინეობების ჩატარებას არავის ვთხოვთ.

მადლობა ღმერთს, საქართველოში გვყოლია თითით საჩვენებელი მწვრთნელები. ანდრო ჟორდანიას, სულიკო თორთლაძის, მიხეილ კეკელიძის, მიხეილ თიკანაძის, შალვა დიასამიძის მიერ გაზრდილი სპორტსმენები მასწავლებლებივით სანიმუშონი იყვნენ და არიან სპორტულ სარბიელზეც და მის მიღმაც.

**● თქვენ უნივერსიტეტის სტუდენტებს ასწავლით და, ამდენად, ახლოს იცნობთ ახალგაზრდების ცხოვრებას. იქნებ სტუდენტურ სპორტზეც თქვათ რამდენიმე სიტყვა...**

— იყო დრო, როცა ჩვენი სტუდენტი სპორტსმენებით თავს ვიწონებდით. სამოციან წლებამდე მშვენიერი ფეხბურთელთა გუნდები ჰყავდა პოლიტექნიკურ, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო, ფიზკულტურის ინსტიტუტებს, უნივერსიტეტს... ახლა, მეტი რომ არ ვთქვათ, ძალიან ცუდად გვაქვს საქმე. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფეხბურთელები სადღაც ბოლო ადგილზე არიან, ზოგან საერთოდ აღარ არის გუნდი... ალბათ საჭიროა შეიქმნას ფეხბურთელთა ერთი კოლექტივი, სადაც თბილისელი სტუდენტები ითამაშებენ.

უფრო სავალალო მდგომარეობაა სპორტის სხვა სახეობებში.

**● წლეულს თავისი ქომაგები ძალიან გაახარა ქუთაისის „ტორპედომ". ახლა უმაღლესი ლიგის ბინადარიც გახდა...**

— სწორედ აქედან დავიწყებ. არ მინდა ქუთაისელ ფეხბურთელებს გული ვატკინო, მაგრამ ერთ რამეს მაინც ვიტყვი, რადგან ეს მათ უჩემოდაც იციან:

ახლა ქართული ფეხბურთის გულშემატკივართა იმ დიდი არმიის გვერდით, რომელსაც გულით უხარია ქუთაისის „ტორპედოს" წარმატება, არის შედარებით პატარა, მაგრამ მაინც გარკვეული ჯგუფი ხალხისა, რომელიც ეჭვით უყურებს ამ წინსვლას. სკეპსისის მიზეზად ასახელებენ ფაქტს, რომ „ტორპედოს" უმაღლეს ლიგაში გადასვლისთანავე დასუსტდება პირველი გუნდი, გაჩერდება კონვეიერი, რომელიც „დინამოს" მაღალი კლასის ფეხბურთელებით ამარაგებს.

მათი ეჭვი საფუძველშივე მცდარი მგონია. თუკი შესაძლებელია, რომ ესპანეთის ჩემპიონატში პაწაწინა ბასკეთის სამი გუნდი მონაწილეობდეს, რატომ არ შეიძლება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში უფრო დიდი საქართველოს ორი გუნდის თამაში?..

გულწრფელად მიხარია ქუთაისელთა წინსვლა და მჯერა, რომ ორ-სამ წელიწადში „ტორპედო" გვიჩვენებს იმას, რასაც საინტერესო საფეხბურთო ბატალიები ჰქვია. ეს გივი ნოდიას და მის თანამდგომთა დიდი დამსახურებაა.

ორ სიტყვას საქართველოს პირველობაზეც მოგახსენებით.

არასწორად მიმაჩნია მისი ორ ზონად ჩატარება. რესპუბლიკის ჩემპიონატის აღმოსავლეთის ზონის ფეხბურთელები ფაქტიურად არ იცნობენ თავიანთ კოლეგებს დასავლეთის ზონიდან. აფხაზი ფეხბურთელები ვერ ჩადიან კახეთში, ოსები — აჭარაში, აჭარლები — ქართლში. რაღა საქართველოს პირველობაა?

**● ვინ არის თქვენთვის იდეალური სპორტსმენი?**

— სპორტსმენის ღირებულება მხოლოდ მისი „სპორტსმენობით" არ განისაზღვრება. პირველ ნომრადაც რომ იყოს მიჩნეული, ვარსკვლავებსაც რომ კრეფდეს ციდან, თუ აღზრდა და განათლება აკლია, ზომიერების გრძნობა ღალატობს, გუნდის ინტერესებისთვის ყველაფერს არ გაიღებს, ერთი სიტყვით, კაცობაში მოიკოჭლებს, გროშია მისი, როგორც სპორტსმენის ფასი. ამისი მაგალითებიც გვაქვს და სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ჩემთვის, და არა მარტო ჩემთვის, სპორტსმენის ეტალონად დარჩა შოთა იამანიძე. ის დიდი კაცი, დიდი პიროვნება იყო მინდორზეც და მას შემდეგაც, რაც სპორტიდან წავიდა.

გაკვირვებული ვარ ვიტალი დარასელიათი, ამ ოცდახუთი წლის ბიჭით, თავისი ყველა მონაცემით ორმოცდაათი წლის ბრძენი, დარბაისელი კაცის შთაბეჭდილებას რომ ტოვებდა.

**● ქართველი კაცი, თუ შეიძლება ითქვას, ფეხბურთით სულდგმულობს. ფეხბურთის მატჩებზე სიარულს, მასზე ფიქრსა და ცხარე დავა-კამათს იმდენი დრო და ენერგია მიაქვს, რომ ბუნებრივად გროვდება გარკვეული ცოდნა, შეხედულება, აზრი... ერთი სიტყვით, ჩვენი გულშემატკივარი იმდენად პრეტენზიულია, ნება რომ დართო, ბევრი „დინამოს" მწვრთნელობასაც იკისრებს...**

— ასეა ბევრ სხვა ქალაქშიც. ოდესაში ჩახვალ და, თუ გაიგებენ, რომ ფეხბურთი გიყვარს, მაშინვე წაგიყვანენ „დერიბასოვკაზე", რომელიც თავისი პუბლიკით ძალიან ჰგავს ჩვენს კიროვის პარკს. ასე იკრიბებიან ფეხბურთზე გადაგებული გულშემატკივრები ლენინგრადში, კიროვის სახელობის პარკის შესასვლელთან, ასეა ლვოვში, ასეა მოსკოვში... ფეხბურთის მოყვარულთა საზოგადოება „ფუტბოლოფილები" არსებობს თითქმის ყველა დიდ ქალაქში.

თავის დროზე კარგი საქმე გაკეთდა ჩვენშიც, როცა შეიქმნა გულშემატკივართა კლუბი, მაგრამ მისი პრეზიდენტის არჩევაში ვერ გამოვიჩინეთ მაინცდამაინც დიდი წინდახედულება. ვგონებ, გულშემატკივართა კლუბის პრეზიდენტი მხოლოდ და მხოლოდ გულშემატკივარი უნდა იყოს და არავითარ შემთხვევაში მოქმედი ან ყოფილი, თუნდაც დიდი სპორტსმენი. ასეა ყველგან, სადაც სპორტის მოყვარულთა საზოგადოება არსებობს, ასე უნდა იყოს საქართველოშიც. მით უმეტეს, იმდენი მაღალი დონის ჭეშმარიტი გულშემატკივარი გვყავს, რომ მისი პრეზიდენტობით თავი არამც და არამც არ მოგვეჭრება.

**● თქვენ ქართული სპორტის ბევრი გამარჯვების მოწმე ბრძანდებით. საქართველოშიც და სხვაგანაც უამრავი საინტერესო მატჩი თუ ორთაბრძოლა გინახავთ. რომ არაფერს გაიხსენებდით...**

— მე გივი კარტოზიას, ვახტანგ ბალავაძის, ვლადიმერ რუბაშვილის ჭიდაობის მომსწრე ვარ. თუ რას ნიშნავს ეს, ჩემი თაობის გულშემატკივრები მიმიხვდებიან. უფრო ახალგაზრდებს კი მათზე ალბათ წიგნებში წაუკითხავთ ან უფროსებისგან გაუგონიათ. თითოეული მათგანი ჭიდაობის ვირტუოზი და, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ადამიანობის ნამდვილი ეტალონი იყო.

აკი გითხარით, ბევრი ჭიდაობა მინახავს-მეთქი, მაგრამ დღემდე გამორჩეული სიცხადით მახსოვს ბალავაძისა და ბაქოელი დადაშევის ორთაბრძოლა, რომელსაც თამამად შეიძლება სპორტული ფეიერვერკი ვუწოდოთ.

მე მინახავს ყველა საფეხბურთო მატჩი და ფინალიც იმ წლისა, როცა თბილისის „დინამო" პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. მოწმე ვარ ორივე სათასო ფინალისა და დიუსელდორფის მატჩისა.

როცა ადამიანებს გვიჭირს სიტყვებით გამოვხატოთ ჩვენი დიდი სიხარული ან მწუხარება, თითქოს გამოსავალს ვპოულობთ და ვამბობთ: იმისი აღწერა არ შეიძლება, ის უნდა გენახა. იმ სამოცდაათ ქართველს შორის, ვინც დიუსელდორფში ვახლდით ჩვენს გუნდს, მეტნაკლებად მჭევრმეტყველებიც გვერია, მაგრამ როცა მოგვიწია პასუხის გაცემა კითხვებზე: რა ხდებოდა თქვენს ბანაკში, როგორ განიცდიდით „დინამოს" გამარჯვებას, ოქროპირებიც ველარ ენამზეობენ — შეთანხმებულებსავით ყველა ერთნაირად ვპასუხობთ: რაც იქ ხდებოდა, იმისი გადმოცემა არ შეიძლება, ის უნდა გენახათო. მაპატიოს მკითხველმა, მაგრამ მოლოდინს ვერც მე გავუმართლებ, რადგან მგონია: ყველა სხვა დიდი სიხარულის გადმოცემა მოხერხდება, ამ შემთხვევაში სიტყვები მართლაც უძლურია.

**● როგორ გესახებათ ქართული ფეხბურთის მომავალი?**

— ადამიანი ისეა მოწყობილი, გემრიელ კერძს რომ გაასინჯებ, ერთ ლუკმას არ დაგჯერდება. ქართველმა გულშემატკივარმა ევროპის თასს აულო ჭაშნიკი და ვეღარ ეტყვი: ერთხელ ხომ მოიგე, მიდი და ახლა მოგონებით იცხოვრეო.

ისტორიკოსი ვარ და ვიცი, ღალატისა და გაუტანლობის რამდენმა ლაქამ დაჩრდილა საქართველოს წარსული, მაგრამ შეხმატკბილებაც რომ საკვირველი ვიცით!

ერის ნიჭი და ხასიათი ცხოვრების ყველა სფეროში ვლინდება. ევროპის თასის ყოველ სეზონში ან თუნდაც ხუთ წელიწადში ერთხელ მოპოვება რომ თითქმის შეუძლებელია, ეგ მჯერა და ილუზიით არ ვიკვებები. მაგრამ ქართული შეხმატკბილების იმედიც მაქვს და ღრმად ვარ დარწმუნებული: დიუსელდორფი განმეორდება!

ინტერვიუ აიღო
**ნანა ჯოხარიძემ.**

## ᲒᲐᲖᲔᲗᲘ — ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ

# ᲐᲘ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

**პატივცემულო რედაქცია! გთხოვთ გვიპასუხოთ ასეთ კითხვაზე: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში რომელი ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას და ქალაქის რომელ უბანში მდებარეობდა ეს დაწესებულება?**

**ბარნაბ ნებიერიძე,**
**პენსიონერი.**

— საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში (1921-1922 წ. წ.) ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა ჯერ განათლების სახალხო კომისარიატი, შემდეგ კი საქართველოს სამხედრო-საზღვაო კომისარიატის საყოველთაო სამხედრო მომზადების განყოფილება.

1922 წელს, „შევარდენის" ორგანიზაციის დაშლის შემდეგ, საქართველოს ცაკ-თან შეიქმნა ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო, რომლის პირველი თავმჯდომარე იყო ვ. სტურუა. ამ საბჭოს პირველი სხდომა ჩატარდა ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის შენობაში.

ტაძარი იდგა იქ, სადაც დღეს მთავრობის სასახლის შენობაა წამომართული. ტაძრის წინ იყო კარგა მოზრდილი მოედანი, ე. წ. სამხედრო პლაცი, რომელსაც ფეხბურთის სათამაშოდ იყენებდნენ. ტაძრის გაუქმების შემდეგ ეს შენობა, მოედნითურთ, ახლად დაარსებულ ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს გადაეცა. ამიერკავკასიისა და საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოები, თბილისის აღმასკომის ფიზკულტურის საბჭო პირველ ხანებში ამ შენობის ოთახებში იყო მოთავსებული. აქვე, სხვათა შორის, მოეწყო პირველი საჭადრაკო კლუბი, სადაც სამუშაოდ იმ დროს ცნობილი მოჭადრაკე ნ. სოროკინი იყო მოწვეული.

ფოტოსურათზე, რომელიც ერმაკოვის ცნობილი არქივიდანაა ამოღებული, აღბეჭდილია ყოფილი გოლოვინის პროსპექტის (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი) დასაწყისი. მარცხნივ მოჩანს დღევანდელი პიონერთა სასახლის შენობის ნაწილი, მოშორებით კი ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის გუმბათი. აი, სწორედ იქ მოღვაწეობდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში შექმნილი ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო.



**● პატივცემულო რედაქცია! იქნებ გვიპასუხოთ რომელი წლიდან არსებობსველოტრეკი თბილისში?**

**ჯუმბერ კაკულია.**

— საარქივო მასალების თანახმად ტრეკი თბილისში ყოფილა ჯერ კიდევ 1886 წელს ყოფილი დიდი მთავრის, ამჟამად კამოს ქუჩაზე. შემდეგ უსახსრობის გამო იგი დაიკეტა. 1893 წელს სამხედრო ინჟინერმა თავადმა ვ. ჯორჯაძემ დიდი თანხა გაიღო ამ ტრეკის აღსადგენად.

1893 წლის 22 აგვისტოს თბილისის ტრეკზე ჩატარდა „ველოსპორტის მოყვარულთა საზოგადოების" ერთ-ერთი პირველი შეჯიბრება, რომელშიც ვ. ჯორჯაძის გარდა მონაწილეობდნენ მ. ტრეტიაკოვი, ი. ბერმანი, ნ. გლაგოლევი, ი. დაკი და ი. ზეიდმანი. 15 ვერსზე რბოლაში უძლიერესი იყო ვ. ჯორჯაძე, რომელმაც ამ მანძილის გავლას 12 წუთი მოანდომა.

## მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

# გალინა ულანოვა: „შესანიშნავი და მღელვარე დუელი“

**26 ოქტომბერს** მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა კარპოვ-კასპაროვის მატჩის მეთვრამეტე პარტია.

შეხვედრამ რამდენიმე საათს გასტანა. პარტიაში იყო ისეთი დაძაბული მომენტები, როცა თითოეულ სვლას შეეძლო გარდატეხა გამოეწვია. 22-ე სვლაზე კასპაროვს ბრძოლის გეზი უნდა აერჩია. მან 46 წუთი იფიქრა, მხედარი შესწირა და მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. კარპოვმა წინადადება მიიღო.

საჭადრაკო ხელოვნების დიდმა ტრფიალმა, გამოჩენილმა ბალერინამ, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა გალინა ულანოვამ, რომელიც ორთაბრძოლას ესწრებოდა, თქვა: „დიდოსტატთა დღევანდელი შეხვედრაც შესანიშნავი და მღელვარე დუელი იყო“.

გთავაზობთ პარტიის მსვლელობას.

**მეთვრამეტე პარტია**

**კასპაროვი — კარპოვი**

**ახალინდური დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 b6 4. g3 კa6 5. b3 კb4+ 6. კd2 კe7 7. კg2 c6 8. კc3 d5 9. მbd2 მbd7 10. 0—0 0—0 11. ეe1 c5 12. e4 de 13. მ:e4 კb7 14. მfg5 cd 15. კ:d4 ლc7 16. მ:f6+ კ:f6 17. კ:b7 ლ:b7 18. მe4 კ:d4 19. ლ:d4 ეad8 20. ეad1 ლa8 21. ლc3 მb8 22. მf6+. ყაიმი.

მეტოქეებმა კვლავ ახალინდური დაცვა გაითამაშეს. აქ თეთრებს მცირე პოზიციური უპირატესობის, ხოლო შავებს თანაბარი მდგომარეობის მიღების შანსი აქვთ. ამიტომ ერთგულებენ კარპოვი და კასპაროვი ამ დებიუტს.

მე-12 სვლაზე მეტად რთული პოზიცია შეიქმნა. მეტოქეთა ლაშქარი ერთმანეთის პირისპირ დადგა. სწორედ ამ დროს (მე-13 სვლა) კარპოვმა ახალი, უძლიერესი გაგრძელება აირჩია და შავებმა გაიადვილეს დაცვის პრობლემები. შემდგომ თამაში გამარტივდა, თუმცა თეთრებმა, გარეგნულად, მცირე უპირატესობა შეინარჩუნეს, მაგრამ კასპაროვმა მოგებაზე თამაში უსაფუძვლოდ მიიჩნია და პატარა კომბინაციით შეხვედრა ყაიმით დაასრულა. თუ 22. ...მფh8, მაშინ 23, მh5 და თეთრები ინიციატივას შეინარჩუნებდნენ, ამიტომ მოსალოდნელი იყო 22. ...gf 23. ლ:f6 და გარდუვალი მუდმივი ქიში.

მატჩში ისევ ანატოლი კარპოვი ლიდერობს — 4:0 (+4—0=14).

დღეს, 28 ოქტომბერს, მოჭადრაკეები ისვენებენ. 29 ოქტომბერს გაიმართება მეცხრამეტე პარტია.

## ინფორმაცია

### ჭადრაკი

**კიევში,** საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა 44-ე ჩემპიონატის ფინალურ შეჯიბრებაში გათამაშდა VIII და IX ტურების პარტიები. VIII ტურში არახამიამ მოუგო რაუსეს, ხუგაშვილმა წააგო მატვეევასთან, დაზავდნენ ყულიკოვა და ხოროვეცი. დანარჩენი პარტიები გადაიდო. იოსელიანს მოსაგები პოზიცია აქვს ახმარუმოვასთან.

IX ტურში ხუგაშვილმა მოუგო რაუსეს, მატვეევამ — ეპშტეინს, ჩელუშკინამ — ხოროვეცს, იოსელიანი და ლიტინსკაია ყაიმზე შეთანხმდნენ. არახამიას (მუჩნიკთან) და ახმილოვსკაიას — სახატოვასთან საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ცაიტნოტში შეცდომები დაუშვეს და დათმეს პარტიები. გადაიდო პოლნარევა — შაფრანსკაიასა და კულიკოვა — ახმარუმოვას შეხვედრები.

ამრიგად, 9 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: სვეტლანა მატვეევა (ფრუნზე) — 6,5 ქულა, ირინა ჩელუშკინა (ლვოვი) — 5,5 (1), ქეთევან არახამია — 5,5, ნანა იოსელიანი, გალიმა სახატოვა (ალმა-ათა) — 5-5 (1-1), თამარ ხუგაშვილი — 5, ელენა ახმილოვსკაია — 4,5 (1).

### კალათბურთი

ვოლგოგრადსა და სვერდლოვსკში გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

**ვოლგოგრადი.** ლენინგრადის „სპარტაკმა“ დაამარცხა ნოვოსიბირსკის „დინამო“ ანგარიშით 89:75 (41:45) და ამ ჯგუფში ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ლენინგრადელთაგან ამ დღეს ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო ლარისა კურიკშა (გუნდს 20 ქულა შესძინა). სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ტტტ (რიგა) — „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) 64:58 (30:30), „უნივერსიტეტი“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (ვოლგოგრადი) 79:75 (36:32).

**სვერდლოვსკი.** ამ ჯგუფში გაიმართა მეოთხე ტური. „ჰორიზონტი“ (მინსკი) — „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) 72:52 (37:21), ცსკა — „დინამო“ (კიევი) 61:58 (25:28), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) 88:75 (42:30).

### ჰოკეი

**სტოკჰოლმი.** შვეციის ჰოკეისტთა ნაკრებმა, კანადის თასის გათამაშებაში წარმატებით გამოსვლის შემდეგ, კიდევ ექვსი უძლიერესი მოთამაშე დაკარგა. ისინი კანადა—აშშ-ის პროფესიული ლიგის ნხლ-ის გუნდებმა შეისყიდეს. ორი სკანდინაველი „ვარსკვლავი“ (ჰეგლუნდი და ლოობა) „კვებეკ ნორდიკსმა“ აიყვანა, თითო-თითო „მონრეალ კანადიენსმა“ (ლუნდკვისტი), „ჰარტფორდ უეილერსმა“ (სამუელსენი), „ნიუ-იორკ რეინჯერსმა“ (სანდსტრიომი) და „ბოსტონ ბრიუინზმა“ (ტელინი).

კანადა — ამერიკის პროფესიულ კლუბებში ამჟამად ოცდაათი შვედი ჰოკეისტი თამაშობს.

# სიცხადეს მეორე ტური შეიტანს

**ევროპის** საკლუბო ტურნირებში ოთხშაბათს გამართული 32 მატჩიდან უმეტესობა უაღრესად დაძაბულად წარიმართა. საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ 5 შეხვედრა დამთავრდა დიდი ანგარიშით, ჩემპიონთა თასის გათამაშებაში კი ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია აშკარა უპირატესობას. ასე რომ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, შემდეგ წრეში გასვლის საკითხი ორი კვირით გადაიდო — 7 ნოემბერს, განმეორებითი თამაშების შემდეგ საპრესტიჟო ჯილდოებას მაძიებელთა რიცხვი კიდევ ერთხელ განახევრდება.

## ჩემპიონთა თასი

ეს ტურნირი უმნიშვნელოვანესია ევროპის საკლუბო ფეხბურთში. ამიტომ სავსებით გასაგებია ის დიდი მღელვარება, რომელსაც მსგავს ასპარეზობათა დებიუტანტი, დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ განიცდის. მეორე წრეში საბჭოთა ფეხბურთელებს სერიოზული მეტოქე ჰყავდათ სოფიის „ლევსკი-სპარტაკის“ სახით. ბულგარელთა ძალაზე ისიც მეტყველებს, რომ მეთექვსმეტედფინალში მათ გათამაშებას გამოთიშეს გფრ-ის ჩემპიონი „შტუტგარტი“. მით უფრო სასიხარულო იყო გოლი, რომელიც დნეპროპეტროვსკელმა ლიტოვჩენკომ მატჩის 24-ე წუთზე გაიტანა მასპინძელთა კარში. საფიქრებელი იყო, რომ ეს ბურთი კიდევ უფრო საბრძოლოდ განაწყობდა სტუმრებს, მოხდა კი პირიქით: „დნეპრმა“ საქმე მოთავებულად ჩათვალა, რისთვისაც დაისაჯა კიდეც: ბულგარელებმა ველევმა (31-ე წუთზე), ვილჩევმა (45) და სირაკოვმა (67) სამი ბურთი გაიტანეს და განმეორებითი მატჩის წინ საკმაოდ კარგი მარაგი შეიქმნეს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დაცვაში დაშვებული აშკარა შეცდომების „გამოსწორებას“ დნეპროპეტროვსკელი ფეხბურთელები ხშირად უხეშობით ცდილობდნენ, რითაც საკუთარ თავს მეტოქეზე მეტად ვნებდნენ.

მერვედფინალის ცენტრალურ წყვილად ამ ტურნირში „ლივერპულისა“ და „ბენფიკას“ შეხვედრა ითვლებოდა. „ლელოს“ მკითხველებმა იციან, რომ ჩემპიონთა თასის ახლანდელი მფლობელი, „ლივერპული“ წარუმატებლად თამაშობს ინგლისის მიმდინარე პირველობაში, სადაც 11 ტურის შემდეგ მე-17 ადგილზეა. ამაში გარკვეული „ბრალი“ მიუძღვის გუნდის მთავარ ბომბარდირს იენ რაშსაც, რომელმაც სეზონის დაწყებამდე სერიოზული ოპერაცია გადაიტანა და თანაგუნდელთა მატჩებს მხოლოდ ტელევიზორით ადევნებდა თვალს. ლისაბონელების წინააღმდეგ რაში მაინც გამოვიდა მინდორზე და განაპირობა კიდეც თავისი გუნდის გამარჯვება — 3 გოლი გაიტანა ლისაბონელთა კარში. სტუმრებმა ბომბარდირის „ჰეთ-თრიკს“ ერთი ბურთით უპასუხეს (დიამანტინო). ტურინის „იუვენტუსმა“ ვინიოლასა და როსის გოლების წყალობით ციურიხის „გრასჰოპერსი“ დაამარცხა — 2:0. სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია ბორდოს „ჟირონდას“ მოკრძალებული გამარჯვება (1:0) ბუქარესტის „დინამოსთან“. ეს ერთადერთი ბურთი დასავლეთგერმანელმა დიტერ მიულერმა გაიტანა.

## თასების თასი

**მოსკოვის** „დინამოს“, რომელმაც პირველ წრეში ძლიერი მეტოქე, იუგოსლავიის „ჰაიდუკი“ დაამარცხა, ამჯერად ბედმა გაუღიმა: მალტის „ჰამრუნ სპარტანსი“ ალბათ ყველაზე სუსტია სამივე ტურნირში დარჩენილი 64 გუნდიდან. დინამოელები თავიდანვე საქმიანად შეუდგნენ დასახული გეგმის შესრულებას და საბოლოოდ 5 „მშრალი“ ბურთი შეაგდეს მალტელთა მეკარე ზიმიტის კარში. ორი გოლი გაიტანა გაზაევმა (6, 64), თითო — კარატაევმა (43), ხაპსალისმა (52) და ბულანოვმა (56). ამ უკანასკნელმა 30-ე წუთზე ძელს მოახვედრა 11-მეტრიანი საჯარიმოდან დარტყმული ბურთი.

გათამაშების ერთ-ერთმა ფავორიტმა, მიუნჰენის „ბაიერნმა“, რომელიც ახლა ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია, წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა პლოვდივის „თრაკიას“. პირველი გოლი საკუთარ კარში გაიტანა ბულგარელმა მლადენოვმა, დანარჩენი 3 ბურთი კი მასპინძლებმა საკუთარი ძალებით შეაგდეს (ვოლფარტი — 2, მიჰაელ რუმენიგე). „თრაკიამ“ შეძლო ერთი საპასუხო გოლის გატანა (გეორგიევი). დრეზდენის „დინამომ“ ჩინებულად ითამაშა საფრანგეთის „მეცთან“, რომელმაც პირველ წრეში სახელგანთქმული „ბარსელონა“ გამოთიშა ასპარეზობიდან. დინამოელებმა ტრაუტმანმა, შტიუბნერმა და გიუტშომ 3 ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში, რასაც ფრანგებმა ერთი გოლით უპასუხეს. პრუცოსა და ბრაზილიელი სერეზოს გოლებმა წარმატება მოუტანა „რომას“ უელსის „რექსემთან“ შეხვედრაში.

## უეფა-ს თასი

**ამ** შეჯიბრებაში მონაწილე საბჭოთა გუნდები სტუმრად თამაშობდნენ. თუ მოსკოვის „სპარტაკმა“ განმეორებითი მატჩის წინ საკმაოდ კარგი მდგომარეობა შეიქმნა, მინსკის დინამოელებს დიდი ბრძოლა მოუწევთ შემდეგ წრეში გასასვლელად.

„სპარტაკმა“ თავიდანვე აქტიურად შეუტია მასპინძლის — ლაიფციგის „ლოკომოტივის“ კარს. შედეგმაც არ დააყოვნა — მე-6 წუთზე გავრილოვმა ზუსტად დაარტყა ძელიდან ასხლეტილი ბურთი. ეს იყო სპარტაკელი ფეხბურთელის მე-17 გოლი ევროპის საკლუბო ტურნირებში, რაც საუკეთესო მაჩვენებელია საბჭოთა სპორტსმენთა შორის (თბილისელი რამაზ შენგელიას ანგარიშზეა 16 ბურთი). გაშვებული ბურთის შემდეგ უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ და თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში აღარ დაუთმიათ იგი. თუმცა სახიფათო მომენტები რამდენიმეჯერ მათ კართანაც შეიქმნა. თამაშის მიწურულს, 83-ე წუთზე ლაიფციგელთა ტერიტორიული უპირატესობა მატერიალურადაც გამოიხატა — ციოცშემ ზუსტად დაარტყა პენალტი. სანახაობრივი თვალსაზრისით შეხვედრა მაინცდამაინც მიმზიდველი ვერ გამოდგა, რაც ალბათ ორივე გუნდის დისპეტჩერების, ჩერენკოვისა და ლიბერსის არყოფნას უნდა დავაბრალოთ.

— ჩემი აზრით, მეტოქის გამარჯვებაში ჩვენ უფრო მეტი წვლილი შევიტანეთ, ვიდრე თავად ლისაბონელებმა, — განაცხადა „სპორტინგისა“ და მინსკის „დინამოს“ მატჩის შემდეგ სტუმართა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ვენიამინ არზამასცევმა. მინსკელები მართლაც უინიციატივოდ, საკმაოდ დუნედ თამაშობდნენ, რაც საერთოდ მათთვის არ არის დამახასიათებელი. „დინამოს“ კარში ორივე გატანილი გოლი მცველთა აშკარა შეცდომების შედეგი იყო. 48-ე წუთზე ბოროვსკიმ „ზუსტად“ დაარტყა და... პორტუგალიელები დააწინაურა, 90-ე წუთზე კი მეტოქეთა უყურადღებობით კარგად ისარგებლა ფერნანდეშმა.

უეფა-ს თასის ახლანდელი მფლობელი „ტოტენჰემ ჰოტსპური“ სტუმრად თამაშობდა „ბრიუგესთან“. თავდაპირველად ბელგიელები დაწინაურდნენ — 2:0 (თავი გამოიჩინეს კულემანსმა და გუნდის მეკარემ, დანიელმა იენსენმა, რომელმაც პენალტი გამოიყენა). ინგლისელებმა თავგამოდებით შეუტიეს მასპინძლებს და შეძლეს ერთი გოლის გაქვითვა (ალანი). საინტერესოა, რომ მსაჯმა მინდვრიდან გააძევა „ტოტენჰემის“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ჰოდლი. „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“ შინ დიდი ანგარიშით (4:0) მოუგო სოფიის ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამეს“. გოლები გაიტანეს ფონ ჰეესენმა (2), მაგატმა და შოტლანდიელმა მაკგიმ. წარმატებით იასპარეზა დასავლეთ გერმანიის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა „კიოლნმა“, რომელმაც ლიტბარსკისა და ბაინის გოლების წყალობით სტუმრად სძლია ლიეჟის „სტანდარდს“ — 2:0. მილანის „ინტერნაციონალემ“ დაამარცხა „გლაზგო რეინჯერსი“ — 3:0 (საბატო, კაუზიო, კარლ-ჰაინც რუმენიგე). „ფიორენტინამ“ და „ანდერლეჰტმა“ ფრედ ითამაშეს — 1:1. ბრაზილიელი სოკრატესის გოლს გოლითვე უპასუხა სტუმართა გუნდის თავდამსხმელმა ვანდენბერგმა. უნგრეთის „ვიდეოტონმა“ სტუმრად მოულოდნელად მოუგო „პარი სენ-ჟერმენს“ — 4:2. 2-2 ბურთი შეაგდეს საბომ, ჩონგრადიმ („ვიდეოტონი“) და როშტომ. აღსანიშნავია, რომ სტუმრები წინ იყვნენ ანგარიშით 4:0.

რედაქტორი ა. გოგელია.

**30 და 31 ოქტომბერს, 1 და 2 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე ჩატარდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცხენოსნობის რესპუბლიკური სპორტული სკოლის პირადგუნდური პირველობა. პარალელურად გაიმართება ბელორუსიის, ლატვიის, ყაზახეთის, ლენინგრადისა და საქართველოს მოსწავლე ცხენოსანთა სამატჩო შეხვედრა.**

**დასაწყისი 11 და 16 ს.-ზე.**



## „სპორტლოტო“

**გუშინ** მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს“ მორიგი, 43-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 49“-დან:** 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 20 (აფროსნობა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 30 (მთამსვლელობა), 40 (ბადმინტონი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 6 (ძიუდო), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 11 (ფრენბურთი), 15 (ზაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 31 (ფარიკაობა).

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
წერილების განყოფილება — 93-97-55.
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსია 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 07466